

**ირალური სამყაროს მხატვრული წარმოსახვა
„ცისფერყანწელთა“ პროზაში
LITERARY IMAGINATION OF UNREAL WORLD
IN BLUE HORNS' PROSE**

თეონა ლომიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Teona Lomidze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

The literary heritage of the Blue Horns includes both poetry and prose.

These thematically diverse texts clearly show to a greater or lesser extent the authors' talent and demonstrate the same topics that are represented in their poetry. The early 20th century is distinct due to the emergence of symbolic tendencies in Georgian literature. The members of the literary group of Blue Horns made a truly immense contribution to this field. They enriched the Georgian prose and poetry with diverse images, symbols and themes. From this perspective, their short prose works are of particular importance, such as miniatures, études, silhouettes, novels, and prose poetry.

The article emphasizes one of such important threads typical to the symbolist movement as the artistic depiction of the unreal world in the prose of the Blue Horns' group members: Sandro Tsirekidze, Titsian Tabidze, and Sergo Kldiashvili. In his letter entitled *terror antiquos* (the journal "Dreaming Gazzelles", 1921, №5), discussing the reason for symbolist writers' fascination with grotesque imagery, Valerian Gaprindashvili specifies important information as to why the "Blue Horns" referred to an unreal world in their works.

According to the writer, "what is really beautiful, has only one form and what is ugly, has thousand forms". Symbolists were not fascinated with what they had in a material form. They showed the aesthetics of being ugly in their works, thus satisfying their longing for existence in an ideal world.

Symbolist writers were intentionally creating the imaginary world because the real world seemed unaesthetic to them. That is why the "Blue Horns" embarked on their journey through the kingdom of ghosts by means of their prosaic works, thus compensating for their spiritual emptiness.

საკვანძო სიტყვები: ქართული პროზა, „ცისფერყანწელები“, სანდრო ცირეკიძე, ტიციან ტაბიძე, სერგო კლდიაშვილი.

Keywords: Georgian prose, Blue Horns, Sandro Tsirekidze, Titsian Tabidze, Sergo Kldiashvili.

„ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული მემკვიდრეობა მხოლოდ პოეზიით არ შემოიფარგლება. მათ ისეთ პროზაულ ჟანრულ სახეობებშიც წარმატებით მოსინჯეს კალამი, როგორებიცაა: მინიატურა, ეტიუდი, ნოველა, სილუეტი და ლექსი პროზად. თითოეული მათგანი იმ თემატიკით შემოიფარგლება, რომელიც უმეტესწილად აწუხებდა მათი ეპოქის საზოგადოების ფართო ნაწილს. ამიტომაც მათი პროზაული ნაწარმოებები უდავოდ დიდ ყურადღებას იმსახურებს ჩვენი მხრიდან.

„ცისფერი ორდენის“ წევრთა შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ირეალური სამყაროს წარმოჩენა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაწარმოებები აქვთ შექმნილი: სანდრო ცირეკიძეს, ტიციან ტაბიძეს, სერგო კლდიაშვილს...

სანდრო ცირეკიძის გმირები ხშირად ხედავენ უხილავსა და ამოუცნობს. მინიატურა „მთვარეულში“ (1910) მთავარი გმირი შეშლილია, რომელიც თავისი ფიქრებით ხშირად სწვდება მიღმიურ, ირეალურ სამყაროს. იგი მოკლებულია სადი აზროვნების უნარს, ამიტომაც მთავარის სინათლეს აგროვებს, როგორც განძს. ამ განძს, რა თქმა უნდა, მატერიალური ღირებულება არ გააჩნია, იგი სულის საზრდოა. ამ მინიატურის მკითხველი თითქოს ბრუნდება ჰარმონიულ სამყაროში, სადაც სიმშვიდე და უბიწოება ერწყმის ერთმანეთს. თუმცა ამავე მინიატურაში არის „გამოფხიზლებაც“ – როდესაც დუქანში შესული გიჟი ასანთის კოლოფებში განძს ვედარ პოულობს. ეს განძი მას ცხოვრებაში არ გამოადგება, მაგრამ მთავარია, რომ მან დაიჯერა მისი არსებობა. მთავარი გმირის სიგიჟე აქ გულისხმობს რეალურ სამყაროსთან დაშორებას.

მკვლევარ მაია ჯალიაშვილის თქმით, ს. ცირეკიძის „მთვარეულების“ კითხვისას ჩნდება სახარებისეული იგავის ალუზია, რომელშიც აღწერილია, მამის გულმხურვალე ვედრების შემდეგ უფალმა როგორ განკურნა მისი მთვარეული ძე: „უფალო, შეიწყალე ჩემი ძე, მთვარეულია და საშინლად იტანჯება... და შერისხა იესომ და გავიდა ეშმაკი მისგან და განიკურნა ყმაწვილი იმავე წამს“ (ჯალიაშვილი 2011).

ს. ცირეკიძის მინიატურათა კრებულ „მთვარეულებთან“ დაკავშირებით ს. კლდიაშვილმა გამოაქვეყნა წერილი ჟურნალ „ბახტრიონის“ 1922 წლის მე-13 ნომერში, სადაც ხაზს უსვამს მწერლის პროზისათვის დამახასიათებელ რიტმულობას. მისი თქმით, „ცირეკიძე უკანასკნელი სიტყვაა ქართულ პროზაში. ქართული პროზისთვის ახალი გზა იწყება და ამის შემდეგ წარმოუდგენელია საქართველოში პროზა, რომელსაც არ ახასიათებდეს სიტყვის ყნოსვა და მითი გახელება. ეს ახასიათებს „მთვარეულების“ ავტორს. ცირეკიძეს აქვს თავის პრინციპები კომპოზიციის, სტრიქონები ჩქარა მთავრდება წერტილით, მაგრამ წინადადება დასრულებული და ნათელია. ყოველი სტრიქონი სინთეზია მრავალი წინადადებისა, რომელიც შეიძლება დაწერილიყო და მხოლოდ ამ სინთეზებს გვაჩვენებს ცირეკიძე“.

სიზმარეული ყოფაა ასახული „რომანშიც“, სადაც გმირი რეალურ, უფერულ, უსიხარულო ცხოვრებას ჩაანაცვლებს სიზმარს, რომელიც სავსეა სიცოცხლის მრავალფეროვნებით და, რაც მთავარია, სიყვარულით. მწერალმა იგი ჟურნალ „მეოცნებე ნიამორების“ 1920 წლის მე-4 ნომერში დაბეჭდა. ეს მინიატურა სანდრო ცირევიძის სხვა პროზაული ნაწერებიდან გამოირჩევა სიუჟეტურობით. ამ ნაწარმოებში მთავარ პერსონაჟად გამოყვანილია ქუთაისში მცხოვრები, ფაქიზი სულის მქონე ინტელიგენტი. გმირის წარმოდგენაში ქუთაისი „ცოცხლების სასაფლაოს“ ჰგავს, სადაც მისი იდეალებისათვის ასპარეზი არ არის. იგი თანდათან განმარტოვდა, სახლში გამოიკეტა და მის სულს სპლინი დაეპატრონა. ერთხელ ამ მარტოსულს ახალგაზრდა ლამაზი ქალი შემოხვდა, გაიტაცა იგი და, ეფემერული შეხვედრების შემდეგ, სადაც გაუჩინარდა. ამის მერე მამაკაცმა გადაწყვიტა ადამიანური სიამე მხოლოდ სიზმრებში ეძებნა, რადგან აქ ევლინებოდა ხოლმე ეს საოცნებო ქალი.

სერგო კლდიაშვილის ნოველა „მთვრალ საუბრით“, რომელიც დაიბეჭდა „მეოცნებე ნიამორების“ 1919 წლის მე-2 ნომერში, ლანდების სამყაროში მყოფი ვიზიონერის მხატვრულ მონოლოგს უფრო წააგავს, ვიდრე პროზაულ ნაწარმოებს, თუნდაც ფაბულის გარეშე მყოფს (აბულაძე 1977: 121). აღნიშნულ ნაწარმოებში მწერალმა ირეალური სამყარო სავსებით მკაფიოდ გამოკვეთა. მთავარი პერსონაჟი აცოცხლებს ლანდების სამყაროს, ცდილობს აქ ჰპოვოს მისმა სულმა სიმშვიდე და დაიცვას თავი ყოველდღიური ორომტრიალისაგან. ამისათვის იგი აცოცხლებს წარსულის დიდებულ დღეთა სურათებს, რაც ნოველას საინტერესო ელფერსა და დატვირთვას სძენს.

ს. კლდიაშვილის „Natur Morte“ პოეტური პროზის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, რომელშიც მწერალმა მოდერნიზმისათვის დამახასიათებელი ტენდენციები გააცოცხლა: ლანდები ცოცხლდებიან და სარკიდან გადმოაბიჯებენ, ირგვლივ ანარქიაა და დრო, რომელიც არავის ინდობს, მისტიკური ხილვები, რეალური საგნებისა და მოვლენების ნაცვლად მათი ირეალური ეკვივალენტები და დეკადენტური სულისკვეთება; აი, რა არის დამახასიათებელი ამ მინიატურისათვის.

ყოველივე ეს საუცხოოდაა ასახული ნაწარმოებში. მეტი სიცხადისათვის მოვიტანთ მთლიანად მინიატურას:

„ობობას ქსელივით კიდეა ქსოვილი ფანჯარაზე.

კედლებს იქით ღამეა და გახელებული ქარი.

ცოცხლდებიან თეთრი ლარნაკები, გამშრალი კათხები,

ძველი სურათები და თაროებიდან გადმოდიან

ფრთხილი ნაბიჯით.

მორიდებით გადაივლიან ხალიჩებს და სარკეების

უსკრულეებში სადაც შენახულია დრო და სთვლემენ ლანდები.

ჩუმი შრიალი გაისმის სარკეებში. იმღვრევა მათი

სიწმინდე და გადასული მაყრიონები ჩქარობენ

ნაპირების გადმოსასვლელად.
ქარვით გადმოლახეს სარკეების ჩარჩო და ჯარასავით
დატრიალდა ჩემი ოთახი, მიმაჯაჭვავს დრო უსახელო
და ველი შემოვა უცხო ძლიერი, მოვა როგორც
ახალი მოციქული და დაუზოგავი გამაკრავს ჯვარს“

(მეოცნებე ნიამორები 1921: 14).

მინიატურის ბოლო ორი წინადადება აშკარა გამომახილია იმ სისხლიანი ეპოქისა, რომელსაც ფიზიკურადაც კი შეეწირა რამდენიმე „ცისფერყანწელი“.

ს. კლდიაშვილის მინიატურებში ხშირადაა დასმული სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა. ამქვეყნიური აღსასრულისა და წარმავლობის ტრაგიკულ განცდას მწერალი ზოგჯერ სასოწარკვეთილებამდეც მიჰყავს. ადამიანის სიცოცხლეს ავტორი წარმავალ არარაობად და ნაღვლიან მარტოობად მიიჩნევს. ამ მარტოობისგან თავდასახსნელ გზას ს. კლდიაშვილი წარმოსახვათა ირეალური სამყაროსა და კაცის გონებისათვის მიუწვდომელი იდუმალი ჭეშმარიტებისაკენ დაუცხრომელ სწრაფვას სახავს. მისი აზრით, ადამიანი მხოლოდ ამ წარმოსახვით სამყაროში პოვებს სულიერ სიმშვიდეს და მიწიერ ცოდვათაგან განსაწმედელს (ნიკოლეიშვილი 2003: 431).

სანდრო ცირეკიძე რელიგიისა და პოეზიის არსის შესახებ ერთ-ერთ ესეში წერს: „რელიგია ეძებს ნამდვილ ორეულს ქვეყნისას და უნდა ეზიაროს მათ უკვდავებას. პოეტმა თავიდანვე ეჭვის თვალთ შეხედა ამ მიებას. იმან დააჯერა, რომ ღმერთს ჭეშმარიტს ვერ იპოვის და ეძებს მხოლოდ მის ბუტაფორიას“ (ცირეკიძე 1986: 147).

ნათქვამის დასტურად გამოდგება მინიატურა „ეჭვიანი მგზავობა შესაწირავით“: „მივიღებ ღმერთო, დამშვიდებას, მაგრამ გამამხნევე მხდალი: რომ მაქვს სული, რომელიც იმგზავრებს შენსკენ, ავივლი გზაზე ცხრა ცას. ჩემი ნაცნობები ცოცხლობენ სივრცეში, შემხვდებიან და წამომყვებიან თანამგზავრებათ. მჩატეა ჩემი ტვირთი ქვეყნიდან და არ გამიჭირდება შენი კიბის საფეხურებზე ამოსვლა. მომაქვს შესაწირავი წმინდა სანთელი, ჩემი ქალბატონია ვიწრო მხრების თრთოლვა, სატურნის სურნელება მიწაზე, დაბორკილი ენა, რომელიც უქმად ვათრიე კბილებში. მეშინია, უფალო, გაქრობის, და თუ არ ჩამოხვალ ჩემში, გადაგიდგები“ (ბახტრიონი 1922).

ს. ცირეკიძის მინიატურა „ჯაგლაგას“ (1911) გმირიც გაურბის რეალობას. იგი ყველასგან ათვალწუნებული, მარტოსული და უბედურია. ჯაგლაგა ტყეში გარბის, მუხასთან პოულობს საერთოს და სიმშვიდეს, მაგრამ რეალურ სამყაროში მათი გამთლიანება მაინც არ ხდება, რადგან ჩნდება საბედისწერო შავი ვასრკვლავი – სიკვდილის სიმბოლო. ჯაგლაგას არ შეუძლია თავის სიყვარულს ყველაფერი შესწიროს, ამიტომაც უარიყოფება მუხის მიერ. „ვერ გადასცდება საზღვარს და ვერ შეუერთდება მარადისობას“ (ცირეკიძე 2010: 74).

ს. ცირეკიძის მინიატურების პერსონაჟებისათვის განუყოფელია ოცნება და სინამდვილე. მის მინიატურაში „პირიმზე“ გვხვდება უდაბნოში სიყვარულის მაძიებელთა „მასპინძელი“. ის ბროლის კომპოზი იწვევს რჩეულებს და ბედნიერებას ჩუქნის. პირიმზის ორეულია ლურჯთვალა („ლურჯთვალა“, 1915), რომელიც მცინვარის დათოვლილ კომპოზი ცხოვრობს და რომელსაც პოეტები და მხატვრები ეტრფიან, ერთ მშვენიერ დღეს კი მეცნიერმა დურბინდით გახედა მცინვარს და იქვერაფერი დაინახა: „იქმარტო თოვლი იყო. ათასობით მოხსენებას კითხულობდნენ ცრუ დედოფალზე, ცრუ მგოსნებზე“ (ცირეკიძე 2010: 117). ტექნიკის განვითარებამ ადამიანს დაუხშო სულიერი თვალის. მხოლოდ ფერმკრთალმა ჭაბუკმა დაიმსახურა თავისი დურბინი. იგი „მთვარიან ღამეში ისევ ხედავდა ლურჯ შუქს, თეთრ თოვლზე მოციალეს“ (იქვე). ეს შუქია ხელოვანთა შთაგონების წყარო, ეს შუქია, რომ აოცნებებს. სანდრო ცირეკიძის მეოცნებე პერსონაჟები ასე ემშვიდობებიან ლურჯთვალას: „გვაპატიე, რომ ასეთი ცუდია ქვეყანა. პირიმზე კი კვლავ ბროლის კომპოზია და ურიცხვად ასაჩუქრებს სტუმრებს ბედნიერებით“ (იქვე: 116).

მაია ჯალიაშვილის თქმით, სანდრო ცირეკიძემ თავისი შემოქმედებით დახვეწა და გაამდიდრა მინიატურის ჟანრი. „მთვარეული“, „პირიმზე“, „მუნჯი მოციქული“, „რაინდთა ლანდები“ და სხვა მინიატურები იყო ახალი სიტყვა ამ ჟანრში. მწერალმა უფრო მეტად გაამახვილა ყურადღება ირეალობაზე და სინამდვილე წარმოაჩინა მხოლოდ როგორც ნიშანი, სიმბოლო, ფარდა, რომლის იქით იმალებოდა გამოუთქმელი. მისი მინიატურები პოეტურია, უფრო თეთრ ლექსებს ჰგავს – დაფარულის შეგრძნება და გამოხატვა იყო მისთვის მთავარი. მას სჯეროდა სამყაროს ფენომენალურობისა და პოეტური ხატებით, მეტაფორებით, სიმბოლოებით ცდილობდა საგანთა და მოვლენათა არსში წვდომას, იდუმალის ახსნასა და გადმოცემას.

სანდრო ცირეკიძის პოეტურ სამყაროში წაშლილია ზღვარი წარმოსახულსა და რეალობას შორის. გმირები თანაბრად განიცდიან როგორც ნამდვილ, ასევე სიზმარეულ, ოცნებისეულ სამყაროს. სანდრო ცირეკიძის შესახებ შეიძლება გავიმეოროთ სიტყვები, რომლებიც ვალერიან გაფრინდაშვილმა მალარმეზე თქვა: „იგი იყო ბრწყინვალე იმპროვიზატორი თავისი ოცნებისა და ცხოვრება, როგორც უვარგისი სუფლიორი, სამუდამოდ უარყოფილ იქნა პოეტის მიერ“ (გაფრინდაშვილი 1990: 297).

ს. ცირეკიძის შემოქმედებასთან დაკავშირებით საყურადღებო წერილი აქვს ალი არსენიშვილს - სახელწოდებით „სანდრო ცირეკიძე“, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ „კავკასიონის“ 1924 წლის მე-12 ნომერში, სადაც წერს: „მისი მუდმივი ანალიზი პროზის და პოეზიის საზღვრების აღმოჩენისათვის დაწყებული, ამოიხედა მარტო სათაურით დამშვიდებისა, და თან განუწყვეტელი გაფრთხილება ფილტვების ჩაუქრობელ ხანძრისა - არ ამლევდენ მას ხალისს ეზარდა თავისი უეჭველი ოსტატობა სიტყვისა.. ესაა მიზეზი, რომ მთელი მისი მემკვიდრეობა სტოვებს ნახაზების

შთაბეჭდილებას. თითქოს ოსტატს ცარციტ და ფანქრით შემოუვლია აქ სილუეტები, იქ ჩონჩხიან პეიზაჟის კვალი ოდნავ დაუმჩნევია, ზოგი კუთხე ფერადებითაც გაუხალისებია, მაგრამ ისე ძუნწად, ისე მკრთალად, რომ უნებლიეთ გებადებათ სურვილი მიმსგავსებით მაინც აღადგინოთ განზრახვის სიზმარი”.

მაია ჯალიაშვილის აზრით, სანდრო ცირეკიდის მინიატურებში ბევრი რამ ხშირად აგებულია სიზმარულ პრინციპებზე. მკითხველი უნდა მიჰყვას მინიატურულ განწყობილებებს და ემოციურად განიცადოს სათქმელი. მწერლისათვის უმთავრესი იყო, მშვენიერებისათვის ეზიარებინა მკითხველი. მშვენიერება კი მას ეგულეობდა წარმავალ საგანთა და მოვლენათა მიღმა, ამიტომ ცდილობდა უჩინარის მოხელთებას და მარადიულთან ზიარებას.

როგორც ცნობილია, 1918 წელს ნიკოლო მიწიშვილი უერთდება „ცისფერყანწელთა“ პოეტურ ორდენს და მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი ხდება. მათთან დაახლოების შემდეგ ნ. მიწიშვილის შემოქმედებაში მკვიდრდება „უცნობი და გაუგებარი“ პოეტური სახეები, არარეალური, დეკადენტური ხილვები, მელანქოლია, მარტოობა. სწორედ ეს სულისკვეთება გამოსჭვივის ლექსიდან „წმინდანანი“ (1919):

„საუკუნეში ერთხელ ქვეყანას
მოევლინება წმინდანანი -
ცეცხლის ფრინველი, მთოველი ცოდვის
და როგორც გველი წვრილტანიანი“...

ქართველმა სიმბოლისტებმა თავიანთ მინიატურებში ლეგენდები და თქმულებები გააცოცხლეს, როგორც სინამდვილისგან თავის დაღწევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. მინიატურებში გადაშლილია ზღაპრული აღმოსავლეთი, რომელიც გამთბარია: „აღმოსავლეთის ცხელი მზით, დაფენილი ხალიჩებით და სავსეა ზღაპართა ქარავნებით... ზოგჯერ დამქანცველ სიმშვიდეში შემოაბიჯებს აღმოსავლური სიმკაცრე და სატრფოს თავისაგან გაკეთებული ჭიანურით დააკვნესებს რაიმეს. ანდა უზღაპროდ დარჩენილი ხალიფი: „ოდნავ დამთვრალი მშვიდად მოელის მეგობრის მოსვლას-კამათლის შეჯიბრებაში მოჰკლას გრძელი დრო“. პაოლო იაშვილის მინიატურებში კი ხალიჩიანი აღმოსავლეთი ხმაურობს გაბედული მეტაფორებით, თვალისმომჭრელი კონტრასტებით. მეორე მხრით, დორიული ტამარივით გამოზომილი დასავლეთიც გაიმშუმნა ვალერიან გაფრინდაშვილში, თავისი შეუზღუდველი ფანტასტიკით“ (აფხაიძე 1986: 223).

ტიციან ტაბიძის თხზულებებში ცალკე უნდა გამოიყოს ლეგენდა. ამ მხრივ საინტერესო თხზულებაა „წარსულის მოგონება“ (1913). მასში გადმოცემულია ამორძალების დედოფლის იზოველის ავხორცობის ამბავი, რომელმაც, ლეგენდის თანახმად, ჯერ ალექსანდრე მაკედონელთან დაიცხრო ვნება, შემდეგ ამირანთან წავიდა, კავკასიონის მთებზე მიჯაჭვულ ამირანთან, ვნების დასაოკებლად. ამორძალების დედოფალი ხედავს

ჩვენებას, ღამდამობით როგორ ემახის ალექსანდრე მოსაალერსებლად. აქ ასახულია სიზმარეული ასოციაციები და ჩვენებები. „ამირანთან მისული ამორძალი, რომელიც ცეცხლებს ყრიდა თვალებიდან, ამირანს იწვევდა საალერსოდ, ამირანმა მის დანახვაზე ვნებით დაიკვივლა და დიდხანს გუგუნებდა ხმა მთებში. მთებმაც გაიღვიძეს და აზუზუნდნენ. აი როგორ გაჩნდა ელვა და ქუხილი. რამდენს იტყვის კიდეც ენგური, რამდენ ამისთანა ამბავს... ადამიანო შეგრცხვეს მაინც, როცა ძველ ზვიად ვნებაზე გიყვებით, რადგან შენ ბავშვურ მასხრობად აქციე იგი» (ტაბიძე 1966: 275). ავტორი ამორძალს ასე ახასიათებს: „მშვილდი ეგონათ მისი მოღუშული წარბები და ისრები – წამწამები“. პოეტს სურს ჩვენი ქვეყანა იყოს კვლავ ძლიერი და დაუმარცხებელი, ამისთვის წარსულს იგონებს და ნაწარმოებიდან ასახელებს ალექსანდრე მაკედონელს და ამორძალების უძლეველ დედოფალს იზოველს, რომელთა სახით საქართველოს ძლიერება სურს დაბრუნდეს.

თუ რატომ მიმართავდნენ ირეალურ სამყაროს ჩვენი მწერლები, ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ვალერიან გაფრინდაშვილი წერილში „terror antiquos“ (ჟურნ. „მეოცნებე ნიამორები“ 1921), სადაც ვკითხულობთ: „ჩვენი დროის პოეტებს გაბედულად შეჰყავთ ნაწარმოებებში საშინელი და მახინჯი სახეები. ლირიკამ გარდაქმნა მთელი რიგი მახინჯი სახეების და აზიარა ისინი ესთეტიკას. ვოლტერი ამბობდა: „ჩემი იდეალი არის გომბეზო“. შექსპირი ამბობს „მაკბეტში“ – „საშინელი მშვენიერია და მშვენიერი საშინელია. ჰიუგო ფიქრობდა, რომ სიმახინჯეს აქვს ათასი ფორმა, მშვენიერს კი ერთი. მახინჯს ჩვენ ყოველთვის ვგულისხმობთ, როგორც მოვლენის ზედაპირს, როგორც ფანტასტიურ ნიღაბს. ჩვენ არ გვიტაცებს ის, რაც პირდაპირი სახით გვევლინება - ჩვენ გვინდა ნიღაბი. ყველაზე უფრო საშინელი და ირონიული ნიღაბი მშვენიერისა არის სიმახინჯე. ჩვენი ცხოვრება მახინჯი ანარეკლია მეორე იდეალური სამყაროსი, რომელსაც პლატონი ჩვენს პირველყოფილ სამშობლოს უწოდებს. თავის უკვდავ სონეტში „შესაბმება“ ბოდლერი ამბობს: „არსებობს კავშირი შორეულ საგანთა შორის; როდესაც პოეტი ამ საიდუმლო კავშირს ნახულობს, ჩვენ განვიცდით მარადისობის გრძნობას“ (ხელაია 1986: 111).

ზემოთ განხილული ნაწარმოებები ნათელყოფს, რომ „ცისფერი ძმობის“ მწერლებისათვის ირეალური სამყაროს მხატვრული ასახვა, პირველ ყოვლისა, სიმბოლისტური პრინციპებით უნდა იყოს ნაკარნახევი; ისინი ცდილობდნენ შეექმნათ ნიღაბი, რათა წარმოეჩინათ დაფარული; სურდათ, სიგიჟე ნორმად ქვეულიყო, ხოლო სიმახინჯე - მშვენიერებად. ისინი იმიტომ ქმნიდნენ წარმოსახვით სამყაროს, რომ მათთვის რეალური მიუღებელი იყო. სწორედ ამიტომ „ცისფერყანწელები“ თავიანთი პროზაული ნაწარმოებებით მოჩვენებათა სამეფოში მოგზაურობდნენ და ამით ივსებდნენ სულიერ სიცარიელეს.

გამოყენებული ლიტერატურა

- აბულაძე 1977:** აბულაძემ., ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიიდან მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში. თბილისი, 1977.
- ბახტრიონი 1922:** ჟურნალი „ბახტრიონი“. თბილისი, 1922, №13.
- გაფრინდაშვილი 1990:** გაფრინდაშვილი ვ., ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები, წერილები. თბილისი, 1990.
- გომართელი 1997:** გომართელი ა., ქართული სიმბოლისტური პროზა. თბილისი, 1997.
- მეოცნეზე ნიამორები 1919:** ჟურნალი „მეოცნეზე ნიამორები“. თბილისი, 1919, №2.
- მეოცნეზე ნიამორები 1920:** ჟურნალი „მეოცნეზე ნიამორები“. თბილისი, 1920, №4.
- მეოცნეზე ნიამორები 1921:** ჟურნალი „მეოცნეზე ნიამორები“. თბილისი, 1921, №5.
- მიწიშვილი 2006:** მიწიშვილი ნ., წმინდანიანი. თბილისი, 2006.
- ნიკოლეიშვილი 2003:** ნიკოლეიშვილი ა., მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბილისი, 2003.
- ტაბიძე 1966:** ტაბიძე ტ., ტ. I. თბილისი, 1966.
- ცირეკიძე 2010:** ცირეკიძე ს., რაინდთა ლანდები. ქუთაისი, 2010.
- ხელაია 1986:** ხელაია მ., ქართული ლიტერატურული ესე. თბილისი, 1986.
- ჯალიაშვილი 2011:** maiajaliashvili.blogspot.com/2011/01/blog-post_9303.htm. დამოწმება: 20.12.2020.